ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - კონკურენციის სააგენტოსა

და

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს

შორის

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილი თავმჯდომარის, გიორგი ბარაბაძის მიერ და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის მოადგილის, ასოცირებულ პროფესორ ინგა შამილიშვილის მიერ, ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების მიზანი

შეთანხმების მიზანია:

ა) მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;

ბ) სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

გ) სხვადასხვა პროექტების ერთობლივად განხორციელება.

მუხლი 2. ერთობლივი საქმიანობა

2.1. მხარეები ამ მემორანდუმის ფარგლებში აწარმოებენ შემდეგი სახის საქმიანობას:

ა) განათლების სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება, სასწავლო კურსების მომზადება, წარმართვა და ა.შ) და ექსპერტიზას;

ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს და სხვა;

გ) უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან სააგენტოში.

2.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს პერსონალი და პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ;

2.3. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამების, აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. სხვადასხვა დებულებები

3.1. დაუშვებელია მოცემული მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

3.2. წინამდებარე მემორანდუმში სათაურები გამოყენებულია მხოლოდ მოხერხებულობის მიზნით და არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე.

3.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

3.4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით. მხარეებს შეუძლიათ, ურთიერთშეთანხმებით, გააგრძელონ მემორანდუმის მოქმედების ვადა.

3.5. მხარეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

„ საგენტო“
მის.: აღმაშენებლის გამზ. N154
ქ. თბილისი, საქართველო

გიორგი ბარაბაძე

თარიღი:

„უნივერსიტეტი“
მის.: ნინოშვილის ქ. №35
ქ. ბათუმი, საქართველო

ნუგა შამილიშვილი

თარიღი: